



8142/3-66/21 2 02082021

8142/3-66/21

02-08-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

მოგესალმებით,

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის“ II თავის, მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი ადგენს, რომ:

„1. საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და IV სიის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე სახელმწიფო კვოტებს (საჭიროების შემთხვევაში – კვოტებში ცვლილებების შეტანას) საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანო და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.


2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე ფიქსირებული კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა. ფიქსირებული კვოტები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინება გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.“

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და IV სის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე სახელმწიფო კვოტების განმსაზღვრელი კომპეტენტური ორგანოს შესახებ.

ასევე, გთხოვთ წერილობითი სახით მოგვაწოდოთ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და IV სის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე 2020 და 2021 წლის სახელმწიფო კვოტების განსაზღვრის მეთოდოლოგია. მაგალითად, 2021 წლის გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების მსოფლიო მოთხოვნის ივნისის რედაქტირებულ ვარიანტში საქართველოს მხრიდან მეტადონის წლიური მოთხოვნა 165000 გ. ხოლო მორფინის კი 13000 გ-ია. გთხოვთ, დაწვრილებით მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ როგორ და რის საფუძველზე დაანგარიშდა ეს (და სხვა) კვოტათა რაოდენობა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ვახტანგი მეგრელიშვილი

3-



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES



KA030248302376221

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ; (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/12268

20 / აგვისტო / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ ვახტანგ მეგრელიძევილს (მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N8)

ბატონო ვახტანგ,

სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსული თქვენი წერილების (N8142/3-33/21 02.08.21წ; N76207 02.08.2021წ; N01/11744 06.08.21წ; N8143/3-66/21 N80986 17.08.21წ) პასუხად, გაცნობებთ, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „331“ პუნქტების შესაბამისად, „საქართველოს კომპეტენტური ეროვნული ორგანოს (კომპეტენტური ორგანო) წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული კომპეტენტური სამსახური“.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N01-64/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს კომპეტენციასა და საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს „ნარკოტიკულ საშუალებებზე და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე საქართველოს ყოველწლიური მოთხოვნილების შემუშავება, გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით და დამტკიცებული კვოტის ფარგლებში ამ საშუალებათა იმპორტსა და ექსპორტზე კონტროლის დანერგვა“.

საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების I ცხრილის ნივთიერებებზე, ყოველწლიური სახელმწიფო კვოტები, ისაზღვრება და დასამტკიცებლად ეგზავნება გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს. წლიური მოთხოვნილების (კვოტის) განსაზღვრა, ხორციელდება ბოლო წლებში, მოხმარებული რაოდენობებისა და წლის ბოლოს არსებული მარაგების შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა და სახელმწიფო პროგრამების („ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა“ და „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“) განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობების გათვალისწინებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა“. „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტებთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი 2016 წლის 28-27 მარტის N01-14/ნ/N117 ბრძანების დანართი N1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქვეყნის შიდა კვოტა/ კვოტები დგინდება საბჭოს დასკვნის საფუძველზე და მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი აქტით“. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამავე ბრძანებით.

პატივისცემით,



8143/3-66/21 2 02082021

8143/3-66/21

02-08-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მოგესალმებით,

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის“ II თავის, მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი ადგენს, რომ:

„1. საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და IV სიის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე სახელმწიფო კვოტებს (საჭიროების შემთხვევაში – კვოტებში ცვლილებების შეტანას) საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანო და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.


2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე ფიქსირებული კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა. ფიქსირებული კვოტები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინება გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.“

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და IV სის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე სახელმწიფო კვოტების განმსაზღვრელი კომპეტენტური ორგანოს შესახებ.

ასევე, გთხოვთ წერილობითი სახით მოგვაწოდოთ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და IV სის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე 2020 და 2021 წლის სახელმწიფო კვოტების განსაზღვრის მეთოდოლოგია. მაგალითად, 2021 წლის გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების მსოფლიო მოთხოვნის ივნისის რედაქტირებულ ვარიანტში საქართველოს მხრიდან მეტადონის წლიური მოთხოვნა 165000 გ. ხოლო მორფინის კი 13000 გ-ია. გთხოვთ, დაწვრილებით მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ როგორ და რის საფუძველზე დაანგარიშდა ეს (და სხვა) კვოტათა რაოდენობა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ვახტანგი მეგრელიშვილი

3-



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES



KA030248302376221

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ; (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/12268

20 / აგვისტო / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ ვახტანგ მეგრელიძევილს (მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N8)

ბატონო ვახტანგ,

სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსული თქვენი წერილების (N8142/3-33/21 02.08.21წ; N76207 02.08.2021წ; N01/11744 06.08.21წ; N8143/3-66/21 N80986 17.08.21წ) პასუხად, გაცნობებთ, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „331“ პუნქტების შესაბამისად, „საქართველოს კომპეტენტური ეროვნული ორგანოს (კომპეტენტური ორგანო) წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული კომპეტენტური სამსახური“.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N01-64/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს კომპეტენციასა და საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს „ნარკოტიკულ საშუალებებზე და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე საქართველოს ყოველწლიური მოთხოვნილების შემუშავება, გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით და დამტკიცებული კვოტის ფარგლებში ამ საშუალებათა იმპორტსა და ექსპორტზე კონტროლის დანერგვა“.

საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების I ცხრილის ნივთიერებებზე, ყოველწლიური სახელმწიფო კვოტები, ისაზღვრება და დასამტკიცებლად ეგზავნება გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს. წლიური მოთხოვნილების (კვოტის) განსაზღვრა, ხორციელდება ბოლო წლებში, მოხმარებული რაოდენობებისა და წლის ბოლოს არსებული მარაგების შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა და სახელმწიფო პროგრამების („ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა“ და „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“) განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობების გათვალისწინებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა“. „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტებთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი 2016 წლის 28-27 მარტის N01-14/ნ/N117 ბრძანების დანართი N1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქვეყნის შიდა კვოტა/ კვოტები დგინდება საბჭოს დასკვნის საფუძველზე და მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი აქტით“. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამავე ბრძანებით.

პატივისცემით,

